დადგენილება № 92/2020 – სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სამგლოვიარო პროცესიის ჩატარებისას გასათვალისწინებელი რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ

დადგენილება № 92
17 დეკემბერი, 2020 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების, აკადემიური საბჭოს 2020 წლის 17 დეკემბრის სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი № 44),

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სამგლოვიარო პროცესიის ჩატარებისას გასათვალისწინებელი რეკომენდაციები წარმოდგენილი დანართი № 1-ის სახით;
2. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ემერიტუსის, ბატონი რევაზ თავაძის კონსერვატორიის დიდი დარბაზიდან გასვენების პროცესიის ორგანიზება (19 დეკემბერი, 2020 წელი) განხორციელდეს ამავე დადგენილების 1-ელ პუნქტში წარმოდგენილი დანართი №1-ის შესაბამისად;
3. დადგენილება გადაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, ორივე ფაკულტეტის დეკანს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
4. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;
5. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე;
6. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე